

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #16

ქ. თბილისი

2022 წელი, 8 სექტემბერი, 16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მამუკა გუგეშაშვილი, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ზაზა თავაძე, საბა ბუაძე, ნინო წულაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ლილე ლიპარტელიანი, მიხეილ კაკაურიძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ოთარ ჩიტაძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

სერგო ბირკაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისში, დიდ დილომში, III მიკრორაიონის კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ინვესტ მშენ 1“-ისთვის (ს/ნ: 425368149) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032224550-03- 02.09.2022)
2.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032224483-03 -01.09.2022)

3.	<p>„ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შპს „ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ 406126133) მიმართ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს №12-032225058-03 -07.09.2022)</p>
4.	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032224544-03 - 02.09.2022; 12-032224545-03 - 02.09.2022; 12-03222152-03 - 03.08.2022 (გადადებული „კ“ პოზიცია); 12-032224556-03 - 02.09.2022 (ვარკეთილის არეალზე ცვლილება); 12-032224566-03 - 02.09.2022 (სარევიზიოდან ამოღება))</p>
5.	<p>თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.048; N01.11.04.026.109; N01.11.04.026.110) მრავალფუნქციური ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032224566-03 - 02.09.2022)</p>
6.	<p>ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა, N 39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224822-03 - 05.09.2022)</p>
7.	<p>ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.28.217; N72.16.28.294; N72.16.28.258) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224817-03 - 05.09.2022)</p>
8.	<p>ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, "ჩალიპირებში"; ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032224824-03 - 05.09.2022)</p>

9.	<p>ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.28.228-ის ნაწილი; N72.16.26.379-ის ნაწილი; N72.16.28.207; N72.16.28.200; N72.16.28.208; 72.16.28.201; 72.16.28.214; 72.16.28.210; 72.16.28.209; 72.16.28.211; 72.16.28.212; 72.16.28.203; 72.16.28.216; N72.16.28.213; N72.16.28.215; N72.16.28.293; N72.16.28.153; N72.16.28.278) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224567-03 -02.09.2022)</p>
10.	<p>„ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N 01.12.01.005.129-ის ნაწილზე; N 01.12.01.005.051; N 01.12.01.005.091; ნაკვეთი: N 5/50, N 5/51, N 005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032224913-03 - 06.09.2022)</p>
11.	<p>“ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N13; N15ა; N23ა; N21ა; N17ა; N16; N41; N39; N20; N18; N12; N10; N23; N25; N14; N21; N15; N19; N17-ში; ქალაქი თბილისი, დილომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მეაზრემუმეობის კვლევითი ინსტიტუტის ფართობების მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N41; N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.230; N01.72.14.014.858; N01.72.14.014.626; N01.72.14.014.629; N01.72.14.014.704; N01.72.14.014.264; N01.72.14.014.942; N01.72.14.014.242; N01.72.14.014.438; N01.72.14.014.816; N01.72.14.014.219; N01.72.14.014.339; N01.72.14.014.232; N01.72.14.014.225; N01.72.14.014.222; N01.72.14.014.262; 01.72.14.014.738; N01.72.14.014.987; N01.72.14.014.220; N01.72.14.014.677; N01.72.14.014.255) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს № 12-032224918-03 - 06.09.2022)</p>
12.	<p>“ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის N180-ში, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032224912-03 - 06.09.2022)</p>

13.	<p>ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N5, N6-ში (ნაკვ. 8/5) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.06.008.077; N01.13.06.008.006; N01.13.06.008.075) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224815-03 - 05.09.2022)</p>
14.	<p>ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე (ნაკ. N002/012) დიდი ლილოს საკრებულოს ტერიტორიაზე (ნაკ. N002/005) და კახეთის გზატკეცილი N112-ის მიმდებარედ (ნაკ. N002/010) სავაჭრო კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 25 ივლისის N01/1991 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224823-03 - 05.09.2022)</p>
15.	<p>ქალაქ თბილისში, არჩილ ჭურდიანის ქუჩა №13, №13ა, №15, №15ა, №17, №19; ქალაქი თბილისი, სლავა მეტრეველის ქუჩა N14, №14ა, №14ბ, №12, №10, №8, №13ა, №6, №6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.13.07.017.033, №01.13.07.017.056, №01.13.07.017.057, №01.13.07.017.034, №01.13.07.017.037, №01.13.07.017.015, №01.13.07.017.022, №01.13.07.017.066, №01.13.07.017.067, №01.13.07.017.005, №01.13.07.017.008, №01.13.07.017.011, №01.13.07.017.061, №01.13.07.017.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224833-03 - 05.09.2022)</p>
16.	<p>ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.504; N72.16.23.216; N72.16.23.863) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224827-03 - 05.09.2022)</p>
17.	<p>ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ალექსანდრე ცომიას ქუჩა N5; N9-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ივანე გიგინეიშვილის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.01.02.595; N81.01.02.580; N81.01.02.618; N81.01.02.819; N81.01.02.590; N81.01.02.880; N81.01.02.581; N81.01.02.879; N81.01.02.857; N81.01.02.599; N81.01.02.945; N81.01.02.818) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე - დასასვენებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224832-03 - 05.09.2022)</p>

18.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.740; N81.02.21.739; N81.02.21.738) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032224917-03 - 06.09.2022)
19.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.956; N81.02.13.815; N81.02.13.957; N81.02.20.299; N81.02.19.245-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224816-03 - 05.09.2022)
20.	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში №01.14.06.003.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი: 24 205 კვ.მ.) სასწავლო-სპორტული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N150 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032224919-03 06.09.2022)
21.	ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032225024-03 - 07.09.2022)
22.	„ქალაქ თბილისში,სოფელ გლდანში, „ავშნიანში” არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.13.41.020; N72.13.41.012; N72.13.38.245; N72.13.41.009; N72.13.41.712; N72.13.41.713; N72.13.41.402; N72.13.41.016; N72.13.41.744; N72.13.41.043; N72.13.41.042; N72.13.41.663; N72.13.38.143; N72.13.41.479; N72.13.41.481; N72.13.41.055; N72.13.41.045; N72.13.41.522; N72.13.41.405; N72.13.41.171; N72.13.41.493; N72.13.41.428; N72.13.41.404; N72.13.41.625; N72.13.41.414; N72.13.41.044; N72.13.41.398; N72.13.41.492) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032225017-03 - 07.09.2022)
23.	ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032221577-03 - 03.08.2022)

24.	„ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N14ბ, N12ბ; N14; N16-ში; ქალაქი თბილისი, გორგასლის II შესახვევი, N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032225023-03 -07.09.2022)
25.	„ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი ლისის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 ნოემბრის N01/1711 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032225055-03 -07.09.2022)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრორაიონის კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ინვესტ მშენ 1“-ისთვის (ს/ნ: 425368149) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ (საკრებულოს №12-032224550-03- 02.09.2022)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2022 წლის 25 მარტიდან 2022 წლის 29 აპრილის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“) – რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო

რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 6002 კვ. მ) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“), მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 5.2-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-6), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 3 150 კვ.მ-ით. აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენის განსაზღვრულ ვადაში (2022 წლის 29 აპრილი, 18:00) სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 1 (ერთი) დაინტერესებული პირის - შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ: 425368149) (შემდგომში - „კომპანია“) მიერ 2022 წლის 29 აპრილის N19/01221192626-61 განაცხადზე დალუქული კონვერტით წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება - ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 3 200 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) (შემდგომში - „გადასაცემი ფართი“), თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ სრულად არ იყო წარმოდგენილი ხსენებული ინტერესთა გამოხატვის 3.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია: კერძოდ, ინფორმაცია ინტერესთა გამოხატვაში მონაწილის ან მასთან აფილირებული/ დაკავშირებული პირის მიერ სამშენებლო სფეროში გამოცდილების, კერძოდ, ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო პროექტების შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი იყო სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით (სს „საქართველოს ბანკის“ - ს/კ: 204378869 მიერ 2022 წლის 27 აპრილს გაცემული საბანკო გარანტია N PE1000261-22) ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრულ ვადაში, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, სამშენებლო ნებართვების მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა მომავალი საკუთრების/საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფის პირობით) შესრულების უზრუნველსაყოფად. ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის მიხედვით, პრინციპალს წარმოადგენდა შპს “ზ და დ გლობალ ბილდინგ კომპანი” (ს/კ: 425362831), რომელიც არ წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სააგენტოს განეხილა კომპანიის შეთავაზება - სააგენტოს 2022 წლის 4 მაისის N61-01221242081 წერილით - ეთხოვა, სრულად წარმოედგინა ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია (მათ შორის, უშუალოდ დასახელებულ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტის - შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/კ: 425368149) სახელზე და სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული ზემოხსენებული ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ან კომპანიის მიერ წარმოდგენილ ზემოხსენებულ საბანკო გარანტიაში შესაბამისი ცვლილებების დოკუმენტი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა ინტერესთა გამოხატვის პირობებს). აღსანიშნავია, რომ განსაზღვრულ ვადაში, კომპანიის - შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/კ: 425368149) - მხრიდან სრულად იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია მათ შორის, N

PE1000261-22 საბანკო გარანტიაში ცვლილების თაობაზე შეტყობინება. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2022 წლის 10 მაისის N61-01221301460 წერილის თანახმად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ინვესტ მშენ 1“ (ს/კ: 425368149). შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება. მიზანშეწონილია განიმარტოს, რომ კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით. კერძოდ, მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ორი კრიტერიუმით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულით (შემდგომში - „სარეიტინგო ქულა“) ან/და ტერიტორიულობის პრინციპით. სარეიტინგო ქულის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე პირს, ტერიტორიულობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ უპირატესობა ენიჭება პირს, რომელსაც უნდა აშენებოდა კოოპერატიული საცხოვრებელი ბინა იმავე რაიონში, სადაც, კონკრეტული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი მოიაზრებს დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებას. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი ადგენს გამონაკლისსაც და განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, დაზარალებულ პირთა რიგითობა განსაზღვროს ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (40 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, ასევე, რომ ზოგიერთმა პირმა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მითითებულ კრიტერიუმებს, სიის ფორმირების პროცესში, სააგენტოს შესაბამის თანამშრომლებთან სატელეფონო კომუნიკაციისას, უარი განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამშენებლო პროექტში დაკმაყოფილებაზე. ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად. განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას. დაზარალებულ

პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობის კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 1 კვ.მ-ით, რათა თითოეული მათგანის მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართი არ ყოფილიყო გადასაცემი ფართის ჯამურ ოდენობაზე მეტი. განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს ქ. თბილისში, დიდ დილომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ მიწის ნაკვეთის განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და შპს „ინვესტ მშენ 1“-ისთვის (ს/ნ: 425368149) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხსა და მათთან დასადები ხელშეკრულების პროექტზე, განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად. საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032224483-03 -01.09.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესში (მუხლი 39¹) 2022 წლის ივნისში განხორციელდა ცვლილებები და დაზუსტდა ინვესტორების ჩართულობით ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები. კერძოდ, თუ რომელი კატეგორიის ავარიულ სახლებს შეეხებოდა ეს რეგულაციები, რა ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება არის შესაძლებელი ასეთ დროს და ა.შ. ამ ცვლილებების მიხედვით, იქვე დაზუსტდა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებები (გამონაკლისები არსებული დადგენილი რეგულაციებიდან) არ უნდა შეეხებოდა მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტთან (კ-1), მიჯნის ზონასთან და ავტოსადგომებთან დაკავშირებით N14-39 დადგენილებით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესში, პრაქტიკაში დაყენებულმა წინადადებებმა/მომართვებმა აჩვენა, რომ აუცილებელი იყო ამ რეგულაციის დაზუსტება, გამომდინარე იქიდან, რომ არსებული ფაქტობრივი

გარემოებები რიგ შემთხვევაში არ იძლევა საშუალებას ამ ხელშემწყობი ღონისძიებების (გამონაკლისების) გარეშე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ზუსტდება რამდენიმე საკითხი: ა) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება, შესაძლებელია განხორციელდეს ფაქტობრივად არსებული სატრანსპორტო/საგზაო კავშირების გათვალისწინებით. გამომდინარე იქიდან, რომ რიგ შემთხვევებში, არსებული ფაქტობრივი გარემოება, შენობის ადგილმდებარეობა, არსებული მისასვლელი გზები, ინფრასტრუქტურა და ა.შ. ისეა მოწყობილი რომ არ ხერხდება წესიდან გამონაკლისის გარეშე მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ არსებული მდგომარეობა არ იცვლება და დღესაც იგივე ინფრასტრუქტურაა ამ კუთხით; ბ) შენობა-ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით შესაძლებელია განისაზღვროს, რომ ახალი შენობა-ნაგებობა, მათ შორის ღიობების მოწყობით, მიწის ნაკვეთზე განთავსდეს ისე, რომ მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან დაშორება არ იყოს იმაზე ნაკლები, რაც იყო არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის შემთხვევაში. ხოლო, თუ ახალი შენობა-ნაგებობის განთავსებით მცირდება ეს დაშორება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე, საჭიროა იმ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა (მათ შორის, ღიობის მოწყობაზე), რომლის მხარესაც ეს გარემოება დგება. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ის, რომ დღესაც, არსებული ავარიული შენობა-ნაგებობები განთავსებული არიან სწორედ ამ პრინციპით, დღეს არსებული წესებისაგან გარკვეული გამონაკლისებით. შესაბამისად, ახალი რეგულაციით უკვე იქნება შესაძლებელი რომ თუ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა არ უარესდება და ისევე ისეთი პარამეტრებით (იმავე კონტურზე) ხდება შენობის მიწაზე განთავსება, იყოს ეს შესაძლებელი. ხოლო თუ არსებულისგან მცირედით მაინც უარესდება, კერძოდ შენობის განთავსება საკადასტრო საზღვრამდე ხდება იმაზე უფრო ახლოს, ვიდრე აქამდე იყო, მაშინ საჭირო და აუცილებელი იქნება ამ მხარის მომიჯნავედ არსებული მესაკუთრეების თანხმობა, მათ შორის ღიობის მოწყობაზეც კი. გ) შესაძლებელია განისაზღვროს გარკვეული გამონაკლისები მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტთან (კ-1) დაკავშირებულ რეგულაციებზეც. ამის საჭიროებაც ცხადია წარმოიშვა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. კერძოდ, რიგ შემთხვევებში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობები ისეა განთავსებული მიწის ნაკვეთზე, რომ უკვე დარღვეულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1). ასევე შესაძლებელია ამ კოეფიციენტთან დაკავშირებით გამონაკლისის დადგენა საჭირო გახდეს მიწის ნაკვეთის მოცულობიდან, მისი პარამეტრებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შპს „ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ 406126133) მიმართ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ [\(საკრებულოს №12-032225058-03 -07.09.2022\)](#)

კომისიამ იმსჯელა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შპს „ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ 406126133) მიმართ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა)

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0.8-ით; ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 8.2 - ით; გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მიჯნის ზონის დაუცველად, ღიობების მოწყობის, სიმაღლის განმსაზღვრელი და ავტოსადგომების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე; დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების კვლევის გარეშე; ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარდგენის გარეშე; ვ) დაინტერესებულმა პირმა შპს „ვი.ვი.ენ კომპანიმ“ (ს/ნ 406126133) მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე წარმოადგინოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები, რომლითაც დადასტურდება, რომ არ არიან წინააღმდეგები მშენებლობა განახორციელოს დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების გათვალისწინებით; ზ) დაინტერესებული პირის შპს „ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ 406126133) მიერ მშენებლობის ნებართვის აღების ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; თ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032224544-03 - 02.09.2022; 12-032224545-03 - 02.09.2022; 12-03222152-03 - 03.08.2022 (გადადებული „კ“ პოზიცია); 12-032224556-03 - 02.09.2022 (ვარკეთილის არეალზე ცვლილება); 12-032224566-03 - 02.09.2022 (სარევიზიოდან ამოღება))

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032224544-03 - 02.09.2022; 12-032224545-03 - 02.09.2022; 12-03222152-03 - 03.08.2022 (გადადებული „კ“ პოზიცია); 12-032224556-03 - 02.09.2022 (ვარკეთილის არეალზე ცვლილება); 12-032224566-03 - 02.09.2022 (სარევიზიოდან ამოღება)) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 24 წინადადება და პროექტში შესატანი ცალკეული ცვლილებები, კერძოდ:

ა) ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N135ა; N133-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.003.409) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1- ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2- ის (რზ-2) ფენის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს სამედიცინო ცენტრისთვის „ციტო“ ახალი სათაო ოფისის - ცენტრალური ლაბორატორიის მშენებლობა წარმოადგენს. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14- 39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სპეციალური ზონა 1-ისათვის (სპეცზ-1) სამედიცინო ინფრასტრუქტურის მომსახურების ობიექტები სამშენებლოდ განვითარების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 4 აგვისტოს N0122216871 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2- ის (რზ-2) ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N135ა; N133-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.003.409) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ქუჩა ცოტნე დადიანი, N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N72.13.36.408) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სამრეწველო ზონა 2 (ს-2). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა. ტერიტორია წარმოადგენს ნავთობსაცავს, იგი ემსახურება ნავთობპროექტების დისტრიბუციას, ასევე ნაკვეთზე განთესულია მოქმედი ბენზინგასამართ სადგური, რომელიც 1994 წლიდან ფუნქციონირებს. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიის ამავე მიმართულებით განვითარება და საპროექტო არეალის კეთილმოწყობა წარმოადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 4 აგვისტოს N0122216821 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული

ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე არსებული სახით სრულად იქნება შენარჩუნებული მწვანე ნარგავები. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ქუჩა ცოტნე დადიანი, N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა, მისაღებია არსებული ნარგავების სრულად შენარჩუნების პირობით;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი, 9 ძმა ხერხეულიძის III შესახვევი, N 22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.12.725) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N81.02.12.725) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს N01222221077 წერილის მიხედვით, განსახილველი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება მონაკვეთზე, რომელსაც ფაქტობრივი მდგომარეობით არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და არც სამომავლოდ აღნიშნული ფუნქციით განვითარების პერსპექტივა. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. გარდა ამისა, სატრანსპორტო ქვეზონის ერთიანი კონფიგურაციის შენარჩუნების მიზნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კორექტირებას. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N81.02.12.725 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და საცხოვრებელი

ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი, 9 ძმა ხერხეულიძის III შესახვევი, N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.12.725) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ექიმების ქუჩა N12-12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა. საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 10 აგვისტოს N0122222800 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N72.13.41.926 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის გავრცელება. ზემოაღნიშნულისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე გაცემულია მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები და შემდგომში, მშენებლობის ნებართვა სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) რეგლამენტის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ექიმების ქუჩა N12-12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის გავრცელება მისაღება;

ე) ქალაქ თბილისში, ქუჩა მუსხელიშვილი, ნაკვეთი 01/044; ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.001.044;

N01.17.10.001.048) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება, N01.17.10.001.044; N01.17.10.001.048 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული ზონირების დაბრუნებას გულისხმობს. N01.17.10.001.044 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. N01.17.10.001.048 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ძირითად ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), მცირედ ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 12 აგვისტოს N01222241993 წერილის მიხედვით, ვინაიდან, N01.17.10.001.044 და N01.17.10.001.048 საკადასტრო ერთეულებზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით, ვრცელდებოდა შესაბამისად სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სამსახური თანახმად განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) N01.17.10.001.115 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.17.10.001.115 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და N01.17.10.001.048 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება, ხოლო N01.17.10.001.044 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. აღნიშნული ცვლილება ხორციელდება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკაზეც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა მუსხელიშვილი, ნაკვეთი 01/044; ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.001.044; N01.17.10.001.048) და მიმდებარედ, N01.17.10.001.115 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღება;

ვ) ქალაქ თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩა, N 7ბ -ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.022) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.022) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია ჩამოყალიბებული და განვითარებულია საცხოვრებელი ზონის (სზ) ფარგლებში და შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.12.11.037.022 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით, დასავლეთითა და აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.12.11.037.022 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩა, N 7ბ -ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.022) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღება;

ზ) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N57-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.002.100, N01.18.12.002.099, N01.18.12.002.090) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილი N57-ის მიმდებარედ, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.002.100) პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 18 აპრილის N0122108946 წერილის შესაბამისად სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N57-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.002.100, N01.18.12.002.099, N01.18.12.002.090)

და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღება.

